

ფინანსების საფუძვლები I, II კურსი(ბიზნესტექნოლოგიები, ეკონომიკა,  
აგრარული)(მერაბ ვანიშვილი) I,II სემესტრი 2017-2018 წელი

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

კითხვა 1

ტერმინი ფული ნიშნავს:

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ ფასიანი ქაღალდებს;
- b. მხოლოდ ოქროს მონეტას.
- c. მხოლოდ შენობას;
- d. საერთოდ სიმდიდრეს;

კითხვა 2

ოქროს სერტიფიკატი არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. მიმოქცევაში არსებული სახელმწიფო ობლიგაციები.
- b. ქაღალდის ფული, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს ოქროზე გაიცვალოს;
- c. მიმოქცევაში არსებული ნებისმიერი ქაღალდის ფული;
- d. ოქროს მონეტა;

კითხვა 3

ეკონომიკაში მიმოქცევაში არსებულ ფულის რაოდენობას ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფულადი პოლიტიკა;
- b. ფულის მიწოდება;
- c. ფულის მასა;
- d. ფართო ფული.

კითხვა 4

ფინანსური რესურსები არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფოსა და საოჯახო მეურნეობების განკარგულებაში არსებული ფულადი ფონდების სახსრების ერთობლიობა;
- b. სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების ფონდების ერთობლიობა;
- c. სახელმწიფოსა, საწარმოებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების ფონდების ერთობლიობა.
- d. საწარმოებისა და ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების ფონდების ერთობლიობა;

კითხვა 5

ფინანსების საკონტროლო ფუნქცია სრულდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფულადი სახსრების ფონდების შექმნის პროცესში.
- b. ფულადი სახსრების ფონდების განაწილებისა და გადანაწილების პროცესში;
- c. სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის საშუალებით წარმოების პროცესების რეგულირებისას;
- d. ბიუჯეტის საშუალებით ფულადი სახსრების ფონდების ხარჯვის პროცესში;

### კითხვა 6

საფინანსო სისტემა არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. სახელმწიფოსა და საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა.
- b. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფინანსური საქმიანობის განმხორციელებელი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ერთობლიობა;
- c. სახელმწიფოს ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;
- d. საწარმოების ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა;

### კითხვა 7

ქვეყნის საფინანსო სისტემა შედგება შემდეგი სამი ძირითადი ნაწილისგან:

აირჩიეთ ერთი:

- a. ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო ფინანსები;
- b. ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და საერთაშორისო ფინანსები.
- c. ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და კორპორაციული ფინანსები;
- d. სახელმწიფო, კორპორაციული და საოჯახო ფინანსები;

### კითხვა 8

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას არეგულირებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- b. საქართველოს კანონი - „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“.
- c. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- d. საქართველოს კანონი - „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;

### კითხვა 9

ფინანსური პოლიტიკა, გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათისა და ხანგრძლივობისაგან დამოკიდებულებით, იყოფა:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსურ ტაქტიკად და ფინანსურ კონტროლად;
- b. ფინანსურ კონტროლად და ფინანსურ დაგეგმვად;
- c. ფინანსურ სტრატეგიად და ფინანსურ დაგეგმვად;

d. ფინანსურ სტრატეგიად და ფინანსურ ტაქტიკად.

### კითხვა 10

ფინანსების გამოყენების საშუალო- და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრას გულისხმობს ფინანსური პოლიტიკის:

აირჩიეთ ერთი:

- a. მარეგულირებელი ტიპი;
- b. ტაქტიკა;
- c. სტრატეგია და ტაქტიკა;
- d. სტრატეგია.

### კითხვა 11

საშემოსავლო გადასახადსა და სახელმწიფო კრედიტს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა:

აირჩიეთ ერთი:

- a. მარეგულირებელი ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;
- b. ნეოკონსერვატორული ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;
- c. გემურ-დირექტიული ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში.
- d. კლასიკური ტიპის ფინანსურ პოლიტიკაში;

### კითხვა 12

ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითად ინსტრუმენტსა და მეთოდს წარმოადგენს:

აირჩიეთ ერთი:

- a. სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების ანალიზი;
- b. სახელმწიფო სესხების გამოშვება და მათი მართვა.
- c. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი;
- d. ფინანსური დაგეგმვა;

### კითხვა 13

ფინანსების მართვის სახელმწიფო ორგანოებს შორის ხაზინა ძირითადია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ამერიკის შეერთებულ შტატებში;
- b. იტალიაში.
- c. დიდ ბრიტანეთში;
- d. საფრანგეთში;

### კითხვა 14

ფინანსური დაგეგმვის მთავარი ობიექტია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფინანსური რეზერვები;
- b. ფინანსური რესურსები.
- c. დეცენტრალიზებული ფონდები;
- d. ცენტრალიზებული ფონდები;

### კითხვა 15

გადასახადის გადახდა შემოსავლის მიღებამდე ითვალისწინებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. გადასახადის განსაზღვრას გადამხდელთა მიერ საფინანსო ორგანოებისათვის წარდგენილ დეკლარაციაში დაფიქსირებული შემოსავლების შესაბამისად.
- b. კადასტრის შემუშავებასა და გამოყენებას;
- c. მუშაკების საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდას საბუღალტრო დოკუმენტაციის საფუძველზე;
- d. შემოსავლების დაყოფას ნაწილებად მათი წყაროების მიხედვით და მათ ცალ-ცალკე დაბეგვრას;

### კითხვა 16

გადასახადები, წარმოადგენს რა სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური იძულების ხელშეწყობით მითვისებული ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს, ეკონომიკური ცხოვრების ზედაპირზე გვევლინება გადასახადების:

აირჩიეთ ერთი:

- a. მარეგულირებელ შინაარსად;
- b. სოციალურ შინაარსად;
- c. მატერიალურ შინაარსად.
- d. საზოგადოებრივ შინაარსად;

### კითხვა 17

საქართველოში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა წარმოებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. თანაბარი დაბეგვრის მეთოდით.
- b. პროპორციული დაბეგვრის მეთოდით;
- c. პროგრესული დაბეგვრის მეთოდით;
- d. რეგრესული დაბეგვრის მეთოდით;

### კითხვა 18

მიმდინარე ანუ ოპერატიული ფინანსური კონტროლი ხორციელდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. საფინანსო ოპერაციების განხორციელებამდე;
- b. ბუღალტრული დოკუმენტაციის ანალიზისა და რევიზიის მეშვეობით.
- c. საფინანსო ანგარიშგების ანალიზისა და რევიზიის მეშვეობით;
- d. საფინანსო, საკრედიტო და სხვა ოპერაციების განხორციელების მომენტში;

### კითხვა 19

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა:

აირჩიეთ ერთი:

- a. 2010 წლის 26 მარტს;
- b. 2009 წლის 26 იანვარს;
- c. 2012 წლის 26 იანვარს.
- d. 2011 წლის 26 თებერვალს;

## კითხვა 20

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ობიექტურობა, კომპეტენტურობა, საჯაროობა, პროფესიონალიზმი;
- b. ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა, პროფესიონალიზმი;
- c. დამოუკიდებლობა, ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, პროფესიონალიზმი.
- d. მიზნობრიობა, დამოუკიდებლობა, კონფიდენციალურობა, ყოვლისმომცველობა;